ᲛᲨᲠᲝᲚᲗᲐᲠᲔᲑᲝ! ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥ. Კ. Პ. (Ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ
ᲓᲐ ᲡᲐᲥ. ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐᲡᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ
26 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ
1941 წ.
№ 175 (6180)
ფასი 15 კაპ.

6496

რკინისებური ნებისყოფა გამარჯვებისათვის

როდესაც სამშობლო საფრთხეშია, მისი ყველა მოქალაქე მეომარი ხდება, მთელი ქვეყანა ფრონტად იქცევა. იმიერიდან ადამიანთა ყველა ზრახვას უნდა ამოძრავებდეს ერთი აზრი — გამარჯვება! შორს ყველაფერი, რაც გამარჯვებისათვის არ არის, რაც ხელს უშლის გამარჯვებას, ასულტებს მასს ჩვენი სამშობლოს წინააღმდეგ, რომელიც შექმნილია ბამა-პაპათა სისხლიანი ოფლით და გასდიდებულია ჩვენი თაობის შრომებით, დაიძრა მტერი.

ფარულისაკან მემკვიდრეობად რიდი მოგვიდია ჩვენი სამშობლო ისეთი, როგორიც იგი არის. გმირული შრომით, ენტუზიაზმით, მისი ყოველი მტკაველი მიწისათვის, მისი დოვლათის ყოველი ხამეცეცისათვის ბრძოლით, ათეული წლობით ვამეწებდით მას, ვიკალბდით ძილს, ვიკლებდით აუცილებლად საჭიროს, ყველაფერს ვაძლევდით მას, ჩვენს დიად დედა-სამშობლოს.

ეს, რითაც ჩვენ კანონიერად ვამაყობთ, — ჩვენი მძლავრი ინდუსტრია, ჩვენი საკოლეუფრნეო სოფლის მეურნეობა, ჩვენი ავიაცია, მეცნიერება, ხელოვნება, — ყველაფერი ეს შექმნილია უალრესად დაძაბული შრომით არა დღეების, არა თვეების, არამედ თითქმის მეოთხედი საუკუნის განმავლობაში.

გმირობა ჩვენში ხალხის ყოფაცხოვრებაში შევიდა. გმირობა ჩვენი არსებობის ნაწილი გახდა. თავდადების გარეშე, მკაცრი წესების სინანულთა ირარად ბინდვის გარეშე, საკუთარი შემოქმედებითი ძალების უსაზღვრო რწმენის გარეშე ჩვენ ვერასოდეს ვერ შეექმნიდით იმ დიად ქვეყანას, რომლის მოქალაქენიც ვართ.

მარტივი და ადვილი როდი იყო ჩვენს წინაშე დასახული ამოცანა. მაგრამ ხალხმა გადასძლია იგი. ცხოვრების ბატონ-პატრონმა, მან თავისი სიღრმიდან გამოჰყო საკეთარი ინტელიგენცია, შეაქმნა ახალი ტიპი სახელმწიფო მოღვაწისა მუშებიდან, როგორიც არის სტახანოვეი, კოლმეურნეებიდან, როგორიც არის ეფრემოვი, დიაპერო ჰაეი ჩაალოვის მსგავსი ულაფიანი ვაჭრების ხელით. საბჭოთა კავშირის თვითეულ პატიოსან მოქალაქეს თავისი წილი უდევს სამშობლოს წარმატებებში. თვითეულს, ვისაც ამ საკეთილდღეოდ უმუშავია, შეუძლია სთქვას: „მე, სხვებთან ერთად, ავაშენე ღნეპროპესი, მე გავიყვანე წყალი ფერგანის არხით, მე დავასახლე უკაცური ტრამალები“.

და ეს ყოველივე ეს, ჩვენთვის ფეიძლი და შშობლიური, საფრთხეშია.

ფაშისტთა ხელმძღვანელები ოცენბობენ მონებად გაგვხადონ ჩვენ, რომლებმაც შეექმენით დიადი სახელმწიფო. ფაშისტი ყარჩალი ემუქრებიან ჩვენი სამშობლოს სასიცოცხლო ცენტრებს.

ჩვენი შშობლიური მიწა-წყალი საფრთხეშია!

საფრთხეშია სიცოცხლე მილიონობით ჩვენი ბაეშვებისა, რომლებსაც ჩვენ ბედნიერ ცხოვრებას ეუაზადებთ!

შორს უდარდელობა და უზრუნველობა!

ამჟამად ჩვენს ქვეყანაში არ არის და არც შეიძლება იყოს სხვა საქმეები, გარდა ჩვენი გამარჯვებისათვის ბრძოლისა. „ამ-ეამად ისე, როგორც არასოდეს, საჭიროა ნებისყოფა გამარჯვებისათვის, იდეური შემეიდრეობა, რკინისებური დისციპლინა, ორგანიზებულობა, ულმობელი ბრძოლა გამეცემლებთან და მოღალატეებთან, უდარდელობისა და უზრუნველობასთან, ლაჩრებთან, პანიკიორებთან და ფეზრტრებთან, საჭიროა უდიდესი თავდადება, მზადყოფნა ყოველგვარი მსხეერპლის გაღებისათვის მტერზე გასამარჯვებლად, თვითეული წითელარმიელის, მეთაურის, პოლიტმუშაკის მზადყოფნა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, თავისი სიცოცხლის დაუზოგავად, ებრძოლოს ყოველი მტკაველი საბჭოთა მიწისათვის“, — ნათქვამია თავდაცვის სახალხო კომისრის ამხანაგ სტალინისა და სახალხო კომისრის მოადგილის, წითელი არმიის მთავარი პოლიტმეურნეობის სამმართველოს უფროსის ამხ. მეხლისის დირექტივაში.

ჩვენს მეომრებს ბრძოლაში მიუძღვიან გამოცდილი წინამძღოლები — წითელი მეთაურები და საბჭოთა მთავრობის თვალი და ყურია. საბჭოური კომისარი და პოლიტმუშაკი მოწოდებული არიან: „ალაფრთოვანებენენ და ამხნევებენენ ჯარის ნაწილების პირად შემადგენლობას, უნერგავენენ მასს სიმამაცეს ირაღის ძალის, ჰიტლერელთა ურდოებზე წითელი არმიის გამარჯვების ურყევ რწმენას. **ბრძოლის ყველაზე სერიოზულ მომენტებში სამხედრო კომისარი მოვალეა მამაცობისა და ვულადობის პირადი მაგალითით გაამლიეროს საბრძოლო სულისკვეთება და მიაღწიოს ჯარის ნაწილის მიერ საბრძოლო ბრძანების უეჭველად შესრულებას“.**

სამშობლოს საკუთარი მკერდით დაცვა არა მარტო მებრძოლების, მეთაურებისა და კომისრების საქმეა, არამედ მთელი საბჭოთა ხალხის საქმეც არის.

ხალხის სული აღსავსეა მტრისადმი უზომეტი სიძულვილით.

მტრის სისასტიკე ბმადებს ჩვენს შეურიგებლობას.

მისი ბოვრებისა გაკამტვერდება ჩვენი ურყევი მამაცობითა და გამარჯვების რწმენით.

მის მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის წამება იწვევს შურისძიების დიდსა და მგზნებარე ყაურეელს.

ჩვენ დავიცავთ სამშობლოს ორგანიზებულობით, რკინისებური შემეიდრეობითა და გმირობით.

სათმარი განსაცდელის ჭრისსანე ჟამს სამშობლო მოითხოვს ჩვენგან მთელ ერთგულებას, მთელ სიმამაცეს, მთელ ენერგიას, მთელ სიცოცხლის ბოლომდე. საბჭოთა მოქალაქეს მხოლოდ მაშინ შეუძლია სთქვას, რომ იგი იცავს სამშობლოს, როდესაც დაიეფწყებს თავის პირად ინტერესებს, პირად კეთილდღეობასა და პირად უშიშროებას.

ბავეიხენოთ დღეს მგზნებარე სიტყვები პაეელ კორჩაგინისა მგზნებარე ბოლშეეკის ნაკოფრსა ოსტროვსკის წიგნიდან „როგორ იწრთობოდა ფოლადი“: „ადამიანისათვის ყველაზე ძვირფასია სიცოცხლე. იგი მას ეძლევა ერთხელ, და იგი ისე უნდა გაატაროს, რომ მწვავედ არ განიცადოდეს ტკივილ უმიზნოდ გატარებული წლებისათვის... რომ საკეთილის დროს მას შეეძლოს სთქვას: მთელი სიცოცხლე და მთელი ძალლონე მოვთხმარე იმას, რაც ყველაზე საუკეთესოა ქეეყნად — კაცობრიობის განთავისუფლებისათვის ბრძოლას“.

დაე მტერმა უკიდურესობამდე ბაძაბოს თავისი ბალოლნე — ჩვენ ერთისამად დავძაბავთ. ჩვენ ვიცავთ საკუთარი ხელითა ამენებულ სამშობლოს. ჩვენ გვაქვს მხოლოდ ერთი მიზანი — გამარჯვება.

ჩვენ მას მივაღწევთ რადაც არ უნდა დაგვიჯდეს. ღირსეული ასპარეზზე სახელოვანი სიკედილი ვერ შეაჩერებს საბჭოთა კავშირის ვერცერთ მოქალაქეს. ჩვენ მუდამ გვეხსომება ლენინის სიტყვები: **„სიკვდილის არარად მიჩნევა უნდა გავრცელდეს მასსებში და უზრუნველქყოს გამარჯვება“.**

წითელი არმიის მეომარი იბრძვის უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, მაგრამ მტერს არ ნებდება. უძაბრესი ბრძოლაში ხელდილი, ვიდრე ფაშისტებთან ტყვეობა.

წითელი არმია უმაგალითო სიმამაცით იბრძვის. იგი მტერს ზედიზედ სცემს ლახვარს. მან დაანადგურა და კ

მოქმედი არმია. საბჭოთა გმირ მფრინავების მიერ ჩამოგდებული ფაშისტების თვითმფრინავები.

ფოტო ლ. ეფელიანისა (საადგილს ფოტოქრონიკა).

სამამულო ომის ფრონტებზე

ღამის ბრძოლა

მოქმედი არმია, 24 ივლისი (საკადესი სპეციკორ.). კაპიტან ბოგდარინის ბატალიონს ბრძანება მიეცა განადგურება და მოესპო ფაშისტთა რაზმი, რომელმაც სოფელი № დიაკავა.

ნაშუადამეზეს 2 საათზე ტყის მიერას, შეტევის დაწყების პოზიციაზე თავი მოიყარეს ქვეყანაყოფთა მეთაურებმა.

— ახლა ყველაზე მოხერხებული დროა უეცარი ეერიშისათვის, — სთქვა კაპიტანმა ბოგდარინმა,—მტერს ეშინია ღამის ხიბლთან იერიშისა.

სწრაფად, უხმაუროდ მოვეშალნენ მეომრები და, როდესაც მტრის სანგრებამდე 100 მეტრზე ნაკლები მანძილი დარჩა, პოლტზელმა კერეჩენკოვმა, რომელიც წინ მიდიოდა, მეომრები წოიყვანა იერიშით გერმანელთა სანგრებზე. მაგრამ ფაშისტებმა თავი აარიდეს აშკარა ბრძოლას და დაიხიეს სოფლისაკენ, მეორე თავდაცვითის მიჯნაზე.

ბატალიონის მეთაურმა ცეცხლის მეფილ სიმძლავრე მიმართა სოფელში ჩასაფრებული მტრის წინააღმდეგ. უმცროსი ლეიტენანტის ბრაგინის ნაღმმტყორცნმა წყაობრიდან გამოიყვანა რამდენიმე. მეავტომატე და ცეცხლი გაუჩინა 2 სახლს, რომლებშიც გერმანელები იყვნენ ჩასაფრებულნი.

მტაყვიამფრქვეველნი, უმცროსი სერჟანტები დობრინინი და ვაიდარი — შეტევაზე გადასულ მეომართა იქით უმეფდნენ მტერს.

როდესაც იერიშის დაწყებას ადგილზე თავი მოიყარა მრავალმა მეომარმა, მტერმა ნაღმმტყორცნთა ძლიერი ბომბარდირება დაიწყო. ეს ბრძოლა ბოლოს გაჩახა, მაგრამ გვიანღა იყო,—მეომრები იერიშზე გადაიდგნენ.

წინ გაიჭრა წითელარმიელი გრაჩევი, მას მიაყვნენ ასეულის პოლტზელი კერეჩენკოვი, მეომარი მოკეკვი, ზემდგომი სპრინგინი და უმცროსი ლეიტენანტი პანკოვი. დახარჩენი მეომრებიც არ ჩამორჩნენ მეწინავეებს: ვერც ნაღმებმა, ვერც ტყვიამფრქვეებმა ვერ შეაჩერეს მამაცი მეომრები. ხიშტმომარჯვებულნი გაეშურნენ ისინი მტრის სანგრებისაკენ.

გაბედულად და გმირულად იბრძოდნენ ხიშტით პოლტზელის მოადგილე ჩუგუნეკო, უმცროსი სერჟანტი ჩერნუხინი, სერჟანტი ტრუშინი, ათობით მეომარი და მეთაური.

ფაშისტთაგან ძალიან ცოტამ უშველა თავს გაქცევით. 120 მოკლული დასტოცა მტერმა ბრძოლის ველზე, 25 კაცი ტყვედ ჩაგებრდა.

კაპიტან ბოგდარინის ბატალიონს დამსახურებისამებრ აქვს მოხვეჭილი სახელი. ბევრჯერ შეხვედრია იგი მტერს და ბრძოლა მუდამ წარმატებით დუმთავრებია.

გ. კრილოვი

მუჭრინავ-გამანადგურებლები ბუნდიუკის მგმრობა

ზღმისაღელეთისაკენ ის-იყო ინთა, რომ უფროსი ლეიტენანტის ბუნდიუკის ავიაგამანადგურებელი პაერში ავრინდა. მან წვე შემოხეხა, თავის აეროდრომს პატრულობდა. განთიადის ბურუსში პაერისაენ გუშაგის უხიზელმა თვალმა გაარჩია 4 ფურცელი —4 თვითმფრინავი, რომლებიც ზორს მიფრინავდნენ.

ბუნდიუკი შეტრიალდა, დარეკა რკალით ფაფი, უკან მოეკვა ოთხეულს და ფთანსაენ ბრძოლა გაუმართა ერთმა ოთხს.

ხანმოკლე სროლა და ალიდიენელი ახლო